ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2349758

ნომერი: AR1362090

თარიღი : 07.12.2015

გაცემის თარიღი : 17.12.2015

გაცნობის თარიღი : 17.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , (ყოფ. კრონშტანტის) , N 69 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ გელაშვილი პ/ნ 01026007003
- თბილისი გ.ზაზიაშვილის ქ. N 24

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 4 დეკემბრის N2326822 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 07/12/2015წ. AR1362090 განაცხადით მომართეს თეიმურაზ გელაშვილმა და ნიკოლოზ სუხოვიცინმა და მოითხოვეს

ცვლილების შეტანა ამავე სამსახურის 04/12/2015წ. N2326822 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 04/12/2015წ. N2326822 ბრძანებით, ქ. თბილისში, ქუჩა ცაგარელი (ყოფ. კრონშტანტის) N69 (ნაკვეთი N2/82), შპს "არქიტექსის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.10.14.016.040), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლების განმარტებით, 04/12/2015წ. N2326822 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეცდომით არის დაფიქსირებული საცხოვრებელი ფართობის მაჩვენებელი, კერძოდ, შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის გეგმა–ნახაზების მიხედვით, საცხოვრებელი ფართობის ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 1342,05 კვ.მ.–ს, ხოლო ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირებულია 1520.5 კვ.მ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლები ითხოვენ შევიდეს ცვლილება სამსახურის 04/12/2015წ. N2326822 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში და დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ.).: 1342.05, საერთო ფართობი (კვ.მ.).: 2351.45.

სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი, მოახდინა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებთან შედარება და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი ფართი, არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებელში ცვლილების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს თეიმურაზ გელაშვილ და ნიკოლოზ სუხოვიცინის 2015 წლის 7 დეკემბრის AR1362090 განაცხადი.
2. შევიდეს ცვლილება 2015 წლის 4 დეკემბრის N2326822 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელში. კერძოდ: საერთო ფართად დაფიქსირდეს–2351.45.კვ.მ, ხოლო საცხოვრებელ ფართად–1342.05კვ.მ.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 4 დეკემბრის N2326822 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 4 დეკემბრის N2326822 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის:ჟ. შარტავას ქუჩა N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.